# საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში



2020

# საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში

2020

კვლევაზე მუშაობდნენ:
ლევან ავალიშვილი
გიორგი კლდიაშვილი
გოგა თუშურაშვილი
ქეთევან კუკავა
ქეთევან თოფურია
სალომე ჩხაიძე
ნატა ახალაძე

გამოქვეყნების თარიღი:
ივნისი, 2020

*მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს.*
*Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.*

# შინაარსი


ძირითადი მიგნებები 4

შესავალი 6

**საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2020 წელს 8**

მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია 9

2019 წელს მიღებული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკა 11

ყველაზე დახურული ინფორმაცია - 2020 13

საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები 15

**საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი - 2020 17**

ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები - 2020 17

ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები 19

**საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით 24**

ცენტრალური საჯარო დაწესებულებები 24

საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საქვეუწყებო
და სხვა საჯარო დაწესებულებები 28

აჭარის ა/რ-ის მთავრობა, სამინისტროები და უმაღლესი საბჭო,
აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია 30

ადგილობრივი თვითმმართველობების მერიები და საკრებულოები 31

სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციები 33

**სტრატეგიული სამართალწარმოების საქმეები 34**

IDFI “მედიააკადემიის” წინააღმდეგ 34

საქართველოს ეროვნული არქივი 36

IDFI დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის წინააღმდეგ 37

სახალხო დამცველის რეკომენდაცია საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ 39

**საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2010-2020 წლებში 41**

2010-2020 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვის პრაქტიკა 46

დასკვნა 47

## ძირითადი მიგნებები

- 2020 წელს 285 საჯარო დაწესებულებაში გაგზავნილი 6 258 მოთხოვნიდან IDFI-იმ პასუხი მიიღო 5,000 განცხადებაზე (80%);

- 2020 წელს საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი 6,258 მოთხოვნიდან, IDFI-იმ 10 დღიანი ვადის დაცვით ინფორმაცია მიიღო 3,043 შემთხვევაში (48%);

- 2020 წელს საჯარო დაწესებულებების ყველაზე დიდმა ნაწილმა (30%) უპასუხოდ დატოვა ან უარი განაცხადა მრჩევლის, ექსპერტის და კონსულტანტის პოზიციებზე დასაქმებული პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოწოდებაზე. რიგით მეორე, ყველაზე დახურული ინფორმაცია დაკავშირებული იყო თანამდებობის პირებზე განპიროვნებული ავტომობილების მიერ გავლილი კილომეტრაჟის და საშუალო წვის მაჩვენებლებთან;

- 2020 წელს, განსაკუთრებით პრობლემური იყო ისეთი მოთხოვნების უპასუხოდ დატოვება, რომლებიც პანდემიასთან ბრძოლასთან იყო კავშირში და შესაბამისად, ამ ინფორმაციაზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა. მაგ, მთავრობის მიერ გამოცემული განკარგულებების ასლები, ტურიზმის ამოქმედებისთვის განხორციელებული ღონისძიებები და სხვ.

- 2020 წელს დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით, პროცენტულად ყველაზე მეტი მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს ან უარი განაცხადეს სახელმწიფო შპს-ებმა და ა(ა)იპებმა (74% უპასუხო, უარი); ხოლო, სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (85% სრულყოფილი) დაფიქსირდა საჯარო დაწესებულებათა ჯგუფში, რომელიც აერთიანებს: აჭარის ა/რ-ის მთავრობა და სამინისტროები, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია.

- 2020 წელს საჯარო ინფორმაცია სრულყოფილი სახით და 10 დღიანი ვადის დაცვით 19-მა საჯარო დაწესებულებამ გასცა (მათ შორის, სახალხო დამცველის აპარატი, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური);

- 2020 წელს, IDFI-ის მიერ ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებად შეფასდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და მთლიანად იუსტიციის სამინისტროს სისტემა;

- 2020 წელს მთავრობის ადმინისტრაციის და იუსტიცის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების გარდა, კიდევ 13 დაწესებულება (მათ შორის სახელმწიფო ხაზინა) აღმოჩნდა ისეთი, რომელმაც IDFI-ის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა;

- ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მიიღო საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ - 92,33% ხოლო ყველაზე დაბალი იუსტიციის სამინისტრომ (5,45%) და ფინანსთა სამინისტრომ (12,91%);

- 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოს 14 ცენტრალური საჯარო დაწესებულებებიდან 10-მა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი გააუარესა. მათ შორის, ფინანსთა სამინისტრო (-45,7%), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (-35,84%) შინაგან საქმეთა სამინისტრო (-30,26%), პრეზიდენტის ადმინისტრაცია (-26,18%);

- 2020 წელს საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხების მაჩვენებელი (80%) 2013 წლის შემდეგ ყველაზე დაბალია;

- 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, სრულყოფილი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი 6%-ით შემცირდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების მაჩვენებელი კი 4%-ით გაიზარდა;

- 2020 წელს სამინისტროებს დაქვემდებარებულმა უწყებების სრულყოფილად გაცემული პასუხების (47%) და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების (41%) მაჩვენებლები, ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე ცუდი შედეგია.

- 2012 წლის შემდეგ, პირველად ვადის დაცვით გაცემულ პასუხებს აჭარბებს 10 დღიანი ვადის დარღვევის შემთხვევები, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, კორონავირუსის პანდემიის პირობებში საჯარო სექტორში სამუშაო პროცესის გართულებამ (დისტანციურ სამუშაო პირობებზე გადასვლა, პანდემიასთან ბრძოლაში ჩართულობა და სხვ.).

# შესავალი

ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) 2010 წლიდან ახორციელებს საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგს. IDFI-ის სისტემურმა მონიტორინგმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ძირითადი ტენდენციებისა და პრობლემების გამოვლენაში, საზოგადოებრივი კონტროლის ქმედითი მექანიზმების დანერგვაში, საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულებისა და ღია მმართველობის განვითარებაში.

2020 წელი, ქვეყანაში COVID 19 პანდემიით შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გათვალისწინებით, გამორჩეული იყო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობით. პანდემიის ფონზე მნიშვნელოვნად გაიზარდა საბიუჯეტო სახსრების გაუმჭვირვალე და არარაციონალური განკარგვის რისკები, რაც განპირობებული იყო, ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევებით, საზღვარგარეთიდან მიღებული დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდით, სატენდერო პროცედურების გარეშე განხორციელებული შესყიდვებით და სხვა.

2020 წელს კორონავირუსის პანდემიის ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვასთან დაკავშირებით არსებობდა შემდეგი ძირითადი გამოწვევები:

**გამოწვევა N1 - საჯარო ინფორმაციის გაცემის სამართლებრივი შეზღუდვა** - 2020 წლის 21 მარტიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რომლის მოქმედების ვადით შეიზღუდა კონსტიტუციით გარანტირებული ცალკეული უფლებები. მათ შორის, შეჩერდა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები. ვადის შეჩერება გავრცელდა იმ შემთხვევებზეც, როდესაც საჯარო ინფორმაცია მოთხოვნილ იქნა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე და არ იყო გასული ინფორმაციის გაცემის კანონით დადგენილი ვადა. საგანგებო მდგომარეობა 22 მაისამდე გაგრძელდა, შესაბამისად 2020 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2 თვით იყო შეჩერებული.

**გამოწვევა N2 - პანდემიის სპეციფიკით გამოწვეული სირთულეები** - კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში, საჯარო მოსამსახურეთა გარკვეული ნაწილი დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადავიდა. შესაბამისად, არსებობდა რისკი თუ რამდენად ეფექტიანად შეძლებდნენ საჯარო დაწესებულებები მსგავს სამუშაო პირობებში, სათანადო პროცესის კოორდინაციას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ამასთან, სხვადასხვა უწყებაში ვირუსის შესაძლო გავრცელება, კონკრეტული უწყების პანდემიასთან ბრძოლის პროცესში უშუალო ჩართულობა და სხვა მსგავსი ფაქტორები, საფრთხეს უქმნიდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის საჭირო სამუშაო რესურსის მობილიზებას.

**გამოწვევა N3 - საჯარო დაწესებულებების არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება** - არა ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებებისათვის კორონავირუსის პანდემიით შექმნილი მდგომარეობა, შესაძლებელია გამხდარიყო საჯარო ინფორმაციის არაკეთილსინდისიერად შეზღუდვის დამატებითი მოტივი.

პანდემიის პირობებში არსებული გამოწვევების მიუხედავად, IDFI-იმ 2020 წელს განახორციელა საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგი. საჯარო დაწესებულებათა ყველაზე ღია თუ დახურულ უწყებად დასახელების მრავალწლიანი უწყვეტი პრაქტიკა, ხელს უწყობს, მსგავს არაორდინალურ სიტუაციებშიც ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტების შენარჩუნებას და საჯარო სექტორში ჯანსაღი კონკურენციის წახალისებას.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობის შეფასება 2020 წლის მონაცემებით. ანგარიში ასევე, მოიცავს საჯარო ინფორმაციის გაცემის ტენდენციების ანალიზს 2010-2020 წლებში და საჯარო დაწესებულებათა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგებს.

რეიტინგების შედგენისას გამოყენებულ იქნა IDFI-ს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეფასების 2011 წელს შემუშავებული მეთოდოლოგია და კრიტერიუმები[1].

[1] *იხ. IDFI- ანგარიში - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2017 წელს - გვ3; გვ17.*

# საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2020 წელს

- მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია
- 2019 წელს მიღებული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკა
- ყველაზე დახურული ინფორმაცია - 2020
- საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები

2020 წელს საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა შეაფასა **285 საჯარო დაწესებულებისათვის** გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხების მიხედვით. დაწესებულებები, სადაც IDFI-მ გააგზავნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები, შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

- 14 ცენტრალური საჯარო დაწესებულება (საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტის და მთავრობის ადმინისტრაცია, სამინისტროები/სახელმწიფო მინისტრის აპარატი);
- 8 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, მთავრობა და სამინისტროები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია;
- 73 სამინისტროებს დაქვემდებარებული სსიპ-ი და საქვეუწყებო დაწესებულება;
- 33 დამოუკიდებელი ორგანო (დამოუკიდებელი სსიპ-ები, მარეგულირებელი კომისიები და სხვა);
- 128 ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანო (მერია, საკრებულო);
- 9 გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- 13 სასამართლო სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანო;
- 7 სახელმწიფო შპს, სს, ააიპ

## მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია

**2020 წელს IDFI-იმ 285 საჯარო დაწესებულებას სულ გაუგზავნა 6 258 მოთხოვნა.** საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი მოთხოვნების უმრავლესობას წარმოადგენდა სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებს, რომლებიც ეხებოდა საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორიც არის: ადმინისტრაციული ხარჯების და სახელმწიფო ქონების განკარგვა, საკადრო უზრუნველყოფა და სხვა. 2020 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებათა სტანდარტული კითხვების შედგენისას, IDFI-ს მიერ გათვალისწინებულ იქნა კორონავირუსის პანდემიის შედეგად საჯარო დაწესებულებების საქმიანობასთან დაკავშირებით მოსალოდნელი ცვლილების სპეციფიკა. შედეგად, სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებს დაემატა პანდემიის პირობებში სამუშაო პროცესის მართვასთან და ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის მოთხოვნა.

2020 წელს IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი სტანდარტული შინაარსის მოთხოვნები მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- **covid-19 პანდემიის პირობებში საჯარო დაწესებულების ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები;**
- **covid-19-ით პანდემიის პირობებში სამუშაო პროცესის მართვასთან დაკავშირებით მიღებული შიდა სამართლებრივი აქტები;**
- **covid-19 პანდემიის გამო, დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადაყვანილ თანამშრომელთა რაოდენობა;**
- **თანამშრომელთა მიერ, სამუშაო ადგილზე კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული რეგულაციების დარღვევის შემთხვევების რაოდენობა;**
- **სახელმწიფო ავტოპარკის შესახებ ინფორმაცია;**
- **საწვავის მოხმარების ხარჯები, ყოველთვიური ლიმიტები და გავლილი კილომეტრაჟი;**
- **სარეკლამო (მათ შორის Facebook-ის ხარჯები);**
- **სამივლინებო ხარჯები;**
- **წარმომადგენლობითი ხარჯები;**
- **მოქმედი საშტატო ნუსხები და თანამდებობრივი სარგოები;**
- **თანამდებობის პირებზე გაცემული ფულადი ჯილდოების და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაცია;**
- **საშტატო და ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ხარჯები;**
- **ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების პოზიციების და შრომის ანაზღაურების ოდენობების რეესტრი;**

- **მრჩევლის, ექსპერტის და კონსულტანტის პოზიციებზე დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურეების ხელშეკრულებების ასლები;**
- **გამარტივებული შესყიდვების ფარგლებში, სამსახურეობრივი ელექტრონული ფოსტიდან ბაზრის კვლევის მიზნით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები;**
- **მამხილებელი განაცხადების და მათზე რეაგირების სტატისტიკური მონაცემები;**
- **მამხილებელი განაცხადების აღრიცხვა/დამუშავებასთან დაკავშირებით შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტი.**

ადგილობრივ თვითმმართველობებში დამატებით გაიგზავნა შემდეგი სტანდარტული მოთხოვნები:

- **მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების და შპს-ების ჩამონათვალი;**
- **მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებსა და შპს-ში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა, საშტატო ნუსხა და შრომის ანაზღაურების ფონდი;**
- **მერის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია;**
- **მუნიციპალიტეტში არსებული მემორიალების, ძეგლების და მონუმენტების შესახებ ინფორმაცია.**
- **მუნიციპალიტეტში პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესები;**
- **საკრებულოში დარეგისტრირებული პეტიციების და მისი მიზანშეწონილობის განსაზღვრასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.**

2011 წლიდან, IDFI საჯარო დაწესებულებებში ყოველწლიურად აგზავნის ადმინისტრაციული ხარჯების განკარგვასთან დაკავშირებით სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებს, შედეგად მონიტორინგის ობიექტ სახელმწიფო უწყებებში წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა IDFI-ის სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებზე ინფორმაციის დამუშავების პრაქტიკა. შესაბამისად, მათი მხრიდან არსებობს მზაობა მეტად სრულყოფილი პასუხები გასცენ მსგავს მოთხოვნებს ე.წ. არასტანდარტულ მოთხოვნებთან შედარებით.

არასტანდარტული მოთხოვნების ჯგუფს მიეკუთვნება, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით გაგზავნილი განცხადებები ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც უშუალოდ დაწესებულებების საქმიანობის სფეროს შეეხება, ასევე ის მოთხოვნები, რომლებსაც IDFI დაინტერესებული პირების მიმართვის საფუძველზე აგზავნის შესაბამის საჯარო დაწესებულებებში. 2020 წელს, საზოგადოებრივი ინტერესი უმეტესწილად მიმართული იყო კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით არსებულ გამოწვევებზე, შესაბამისად არასტანდარტული მოთხოვნების დიდი ნაწილი გაიგზავნა, ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე პასუხისმგებელ უწყებებში. ასეთი არასტანდარტული შეკითხვების მაგალითებია: პანდემიის მიმდინარეობისას მთავრობის მიერ მიღებული განკარგულებების ასლები, შესყიდული სწრაფი ტესტების შესახებ ინფორმაცია, სამედიცინო ინფრასტრუქტურის მომზადებისთვის და მედპერსონალის გადამზადებისთვის გაწეული ხარჯები, საკარანტინე სივრცეებზე გაწეული ხარჯები, ტურიზმის ამოქმედებისთვის განხორციელებული ღონისძიებები, დისტანციურ

სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებები და პროგრამა Teams-ით სარგებლობის მაჩვენებლები, საერთაშორისო პარტნიორების მიერ პანდემიასთან ბრძოლისთვის გამოყოფილი თანხები და სხვა.

პანდემიასთან კავშირში მყოფი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების გარდა, 2020 წელს ასევე გაიგზავნა მთელი რიგი არასტანდარტული მოთხოვნები, რომლის მაგალითებია: ონკოლოგიური მკურნალებისთვის გამოყოფილი დაფინანსება, ლობისტურ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სასამართლო გადაწყვეტილებების ასლები და სხვ.

## 2019 წელს მიღებული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკა

**285 საჯარო დაწესებულებაში გაგზავნილი 6 258 მოთხოვნიდან IDFI-იმ სრულყოფილი პასუხი მიიღო 2,622 განცხადებაზე, არასრულყოფილი - 581 მოთხოვნაზე, უარი - 62 შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებული იქნა 1,258 მოთხოვნა, ხოლო 1,735 შემთხვევაში დაწესებულებებმა შეგვატყობინეს, რომ არ ჰქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება, ან არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია.**

ქვემოთ დიაგრამებზე მოყვანილ პროცენტულ მონაცემებსა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროცენტულ მაჩვენებლებში არ არის ასახული საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ის პასუხები, რომელთა თანახმადაც დაწესებულებები არ ფლობენ მოთხოვნილ ინფორმაციას ან არ განუხორციელებიათ კონკრეტული ქმედება. შესაბამისად, 285 უწყების შემთხვევაში, მონაცემები წარმოდგენილია ინსტიტუტის მიერ გაგზავნილ 4 535 განცხადებაზე მიღებული პასუხების მიხედვით.



დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით, პროცენტულად ყველაზე მეტი მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს სახელმწიფო შპს-ებმა და ა(ა)იპებმა; აღნიშნულ უწყებებს, 2020 წელს, სულ გაეგზავნათ 27 მოთხოვნა, საიდანაც 20 შეკითხვა უპასუხოდ იქნა დატოვებული.

2020 წელს სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საჯარო დაწესებულებათა ჯგუფში, რომელიც აერთიანებს: აჭარის ა/რ-ის მთავრობა და სამინისტროები, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია. კერძოდ, მათთან გაგზავნილი 107 მოთხოვნიდან სრულყოფილი პასუხი მივიღეთ 91 შემთხვევაში.

### *გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხები დაწესებულებათა სახეების მიხედვით*



## ყველაზე დახურული ინფორმაცია - 2020

2020 წელს საჯარო დაწესებულებების ყველაზე დიდმა ნაწილმა (30%) უპასუხოდ დატოვა ან უარი განაცხადა მრჩევლის, ექსპერტის და კონსულტანტის პოზიციებზე დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურეებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ასლების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნაზე. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე უარის საფუძვლად, საჯარო დაწესებულებები ხშირ შემთხვევაში აპელირებდნენ პერსონალურ მონაცემებზე, რომელსაც შეიცავდნენ მოთხოვნილი დოკუმენტები. IDFI-ს შეფასებით, არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, საჯარო დაწესებულებას ამ მოთხოვნის პასუხად როგორც მინიმუმ უნდა მოეწოდებინათ მრჩევლებთან, ექსპერტებთან და კონსულტანტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები, პერსონალური მონაცემების დაფარვით, დაშტრიხული სახით.

რიგით მეორე, ყველაზე დახურული ინფორმაცია დაკავშირებული იყო თანამდებობის პირებზე განპიროვნებული ავტომობილების მიერ გავლილი კილომეტრაჟის და 100კმ-ზე საშუალო წვის მაჩვენებლების შესახებ მონაცემების მოწოდებასთან. ამ ინფორმაციის გასაჯაროებას, განსაკუთრებით თავს არიდებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ეს მონაცემები, თავისი შინაარსით საჯაროობასთან დაკავშირებით სადაო ელემენტებს ნაკლებად შეიცავს. შესაბამისად, მათი უპასუხოდ დატოვების მაღალი მაჩვენებლები სავარაუდოდ განპირობებული იყო ერთის მხრივ, საჯარო დაწესებულებებში აღრიცხვიანობის სისტემის არ არსებობითა და შესაბამისი განმარტების მოწოდებისგან თავის შეკავებით, ხოლო მეორეს მხრივ საწვავის არარაციონალური განკარგვის არსებული პრაქტიკის დაფარვის სურვილით.

2020 წელს საჯარო დაწესებულებებისათვის პრობლემატური აღმოჩნდა აგრეთვე, გამარტივებული შესყიდვების ფარგლებში, ელექტრონული ფოსტიდან ბაზრის კვლევის მიზნით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების ხელშეკრულების საგნის და ხელფასის ოდენობის რეესტრის, ასევე უწყებაში შესული მამხილებელი განცხადებების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნები.

### *მოთხოვნები, რომელიც ყველაზე მეტმა უწყებამ დატოვა უპასუხოდ*



2020 წელს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, ცალკეულმა უწყებებმა უპასუხოდ დატოვეს ან სამართლებრივად დაუსაბუთებელი უარი განაცხადეს ისეთი ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც უშუალოდ მათი საქმიანობის სპეციფიკასთან იყო დაკავშირებული. 2020 წელს, განსაკუთრებით პრობლემურად უნდა შეფასდეს უპასუხოდ დატოვებული ისეთი მოთხოვნები, რომლების პანდემიასთან ბრძოლასთან იყო კავშირში და შესაბამისად, ამ ინფორმაციის მიმართ არსებობდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი.

მაგალითად:

- **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ** უპასუხოდ დატოვა საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული განკარგულებების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა;
- **ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ** უპასუხოდ დატოვა IDFI-ის მოთხოვნა **ტურიზმის** ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების და გაწეული ხარჯების შესახებ;
- **ჯანდაცვის სამინისტრომ** უპასუხოდ დატოვა მოთხოვნა კარანტინში ყოფნის პერიოდში, მოქალაქეებისათვის კორონავირუსის (covid 19) დადასტურების შემთხვევების შესახებ;
- **ნოტარიუსთა პალატამ** უპასუხოდ დატოვა ნოტარიუსების მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა;
- **სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ** უარი განაცხადა ლობისტურ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოწოდებაზე;
- **საქართველოს უზენაესმა სასამართლომ**, უარი განაცხადა, ღია სასამართლო პროცესის შედეგად, გიგი უგულავას მიმართ მიღებული განაჩენის სრული ტექსტის (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი სტანდარტით) მოწოდებაზე.

## საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები

2020 წლის განმავლობაში საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი 6,258 მოთხოვნიდან, IDFI-იმ 10 დღიანი ვადის დაცვით ინფორმაცია მიიღო 3,043 შემთხვევაში. ამასთან, უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ჩათვლით, აღნიშნული ვადა დაირღვა 3,215 შემთხვევაში.

### *10 დღიანი ვადის დახღვევის მაჩვენებელი (მოიცავს უპასუხოდ დატოვებულ მოთხოვნებს)*




თუ დავუშვებთ, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებაზე დაუყოვნებლივი რეაგირება გულისხმობს ინფორმაციის გაცემას 3 დღის განმავლობაში, მაშინ ცენტრალური საჯარო დაწესებულებების მიერ დაუყოვნებლივ გაცემულმა მოთხოვნების რაოდენობამ შეადგინა მხოლოდ 313. 1,502 შემთხვევაში საჯარო დაწესებულებებმა ინფორმაციის გაცემისთვის მოითხოვეს 10 დღიანი პერიოდი და აღნიშნულ ვადაში უზრუნველყვეს ინფორმაციის მოწოდება, 813 შემთხვევაში საჯარო დაწესებულებებმა ინფორმაციის გაცემისთვის მოითხოვეს 10 დღიანი პერიოდი, თუმცა აღნიშნულის შემდეგ განცხადება დატოვეს უპასუხოდ ან ინფორმაცია ვადების დარღვევით გასცეს. 1,228 შემთხვევაში, არ იქნა მოთხოვნილი 10 დღიანი ვადა, თუმცა ინფორმაცია გაიცა 4 დან 10 დღემდე პერიოდში, ხოლო 2,402 შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი ვადები დაირღვა 10 დღიანი ვადის მოთხოვნის გარეშე.

### *10 დღიანი ვადის მოთხოვნა*



2020 წელს, საჯარო დაწესებულებების მიერ კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადის დარღვევის მიზეზად ხშირ შემთხვევაში სახელდებოდა, კორონავირუსის პანდემიით შექმნილი სიტუაცია. მსგავსი განმარტებები, IDFI-მ მიიღო როგორც პანდემიასთან ბრძოლაში უშუალოდ ჩართული უწყებებიდან, ასევე ისეთი საჯარო დაწესებულებებიდან რომელთა საქმიანობა არ იყო პირდაპირ შემხებლობაში ქვეყანაში არსებული მოვლენების მართვასთან. კერძოდ, ცალკეული უწყებები, აღნიშნავდნენ რომ თანამშრომელთა დისტანციურ შრომის პირობებზე გადაყვანის შედეგად სამსახურები ვერ ფუნქციონირებდნენ სრული დატვირთვით, რაც აფერხებდა ინფორმაციის გაცემის პროცესს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან 2 თვის განმავლობაში შეჩერებული იყო საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები (აღნიშნულ პერიოდში IDFI-ს საჯარო დაწესებულებებისათვის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით არ მიუმართავს). შესაბამისად, საჯარო დაწესებულებებს გააჩნდათ მნიშვნელოვანი მოსამზადებელი პერიოდი, დისტანციური მუშაობის პირობებში სათანადო პროცესის ეფექტიანი კოორდინაციის შესამუშავებლად, რომელიც უზრუნველყოფდა ინფორმაციის შეუფერხებელ ხელმისაწვდომობას.

სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს შემოსული თქვენი #FOI10/20-043 წერილის პასუხად, რომლითაც ითხოვთ სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის (შემდგომში „ცენტრი“) თაობაზე ინფორმაციას, გაცნობებთ, რომ „ცენტრის“ საქმიანობის მიზნებია საქართველოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში, მოსახლეობისათვის, ყოველდღიურ რეჟიმში, ასევე სხვადასხვა სახის კატასტროფის, მათ შორის ეპიდემიისა და პანდემიების, საომარი მდგომარეობის დროს დამდგარი საგანგებო სიტუაციებისას (შემდგომში – საგანგებო სიტუაციები), სწრაფი და ხარისხიანი გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო და რეფერალური დახმარების მიწოდების უზრუნველყოფა/კოორდინირება, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფარგლებში, ხოლო ცენტრის ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია საქართველოს შესაბამის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში, მოსახლეობის უზრუნველყოფა სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფარგლებში. ამ მიზნით სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარების უწყვეტი ფუნქციონირება, 24/7(24 საათი, კვირაში 7 დღე) რეჟიმში და პაციენტებისათვის დროული, ადეკვატური და მაღალკვალიფიციური სასწრაფო სამედიცინო მომსახურების მიწოდება. დღეს, როცა საქართველოში პანდემიაა გავრცელებული, განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრება სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის საქმიანობას.

იმის გათვალისწინებით, რომ თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია საკმაოდ მრავალრიცხოვანია, ხოლო მისი დამუშავება და მომზადება, დაკავშირებულია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან შესაბამისი ინფორმაციის მოძიებასთან, „ცენტრი“ აღნიშნავს, რომ ამ ეტაპისთვის შეუძლებელი გახდა, ქვეყანაში არსებული მოვლენების მართვის პარალელურად სრული ინფორმაციის შეგროვება. შესაბამისად, მივუთითებთ, რომ „ცენტრს“ სჭირდება დამატებითი დრო, თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავება/მომზადებისათვის.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ სრული ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების შემდგომ, „ცენტრი“ დაუყოვნებლივ განახორციელებს საჯარო ინფორმაციის გაცემას.

*სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის განმარტება, საჯარო ინფორმაციის გაცემის შეფერხებასთან დაკავშირებით*

თქვენი 09.09.2020. **NFOI09/20-061** განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 16.09.2020. N4460 ბრძანების თანახმად, **კოვიდ-19** ვირუსის გავრცელების პრევენციისა და მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, ეპიდემიის საფრთხის შემცირებამდე, მერიის საჯარო მოსამსახურეები გადასული არიან დისტანციურ შრომის პირობებზე. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული სამსახურები ვერ ფუნქციონირებს სრული დატვირთვით, ამიტომ ვერ გაწოდებთ თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას. როგორც კი მოგვეცემა შესაძლებლობა მზად ვართ გიპასუხოთ.

**პატივისცემით,**

*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტება საჯარო ინფორმაციის გაცემის შეფერხებასთან დაკავშირებით*

# საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი - 2020

- ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები - 2020
- ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები

## ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები - 2020

IDFI-ის მიერ განხორციელებულმა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგმა აჩვენა, რომ 2020 წელს საჯარო ინფორმაცია სრულყოფილი სახით და 10 დღიანი ვადის დაცვით 19-მა საჯარო დაწესებულებამ გასცა. 2020 წელს 100%-იანი მაჩვენებლის მქონე საჯარო დაწესებულების რიცხვი წინა წელთან შედარებით (25 უწყება) 6-ით შემცირდა.

2020 წელს 6 საჯარო დაწესებულება აღმოჩნდა ისეთი, რომლებმაც IDFI-ს ყველა მოთხოვნაზე სრულყოფილი პასუხი გასცა, თუმცა ინფორმაციის მოწოდებისას დაირღვა 10 დღიანი ვადა და პასუხის გაცემის ვადებზე დადგენილი კოეფიციენტების გათვალისწინებით, მათმა ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა 99% შეადგინა.

2020 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაღალი შეფასება (98,1%) მიიღო ასევე საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რომელმაც საანგარიშო პერიოდში 27 მოთხოვნას გასცა სრულყოფილი პასუხი, თუმცა ერთ-ერთ მოთხოვნაზე გაცემულია არასრულყოფილი პასუხი.

**საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები**

| | საჯარო დაწესებულება | მოთხოვნების რაოდენობა | სრულყოფილი | 10 დღიანი ვადის დაცვა | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური | 33 | 33 | 33 | 100% |
| 2 | სახალხო დამცველის აპარატი | 17 | 17 | 17 | 100% |
| 3 | სტატისტიკის ეროვნული სამსახური | 16 | 16 | 16 | 100% |
| 4 | საავტომობილო გზების დეპარტამენტი | 15 | 15 | 15 | 100% |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 5 | კონკურენციის სააგენტო | 15 | 15 | 15 | 100% |
| 6 | გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი | 14 | 14 | 14 | 100% |
| 7 | ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 14 | 14 | 14 | 100% |
| 8 | საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო | 13 | 13 | 13 | 100% |
| 9 | საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი | 13 | 13 | 13 | 100% |
| 10 | აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 13 | 13 | 13 | 100% |
| 11 | აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო | 13 | 13 | 13 | 100% |
| 12 | ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 12 | 12 | 12 | 100% |
| 13 | სამეგრელო -ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია | 12 | 12 | 12 | 100% |
| 14 | ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაცია | 12 | 12 | 12 | 100% |
| 15 | ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 10 | 10 | 10 | 100% |
| 16 | ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 10 | 10 | 10 | 100% |
| 17 | ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 10 | 10 | 10 | 100% |
| 18 | თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 10 | 10 | 10 | 100% |
| 19 | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 10 | 10 | 10 | 100% |
| 20 | გარემოს ეროვნული სააგენტო | 19 | 19 | 0 | 99% |
| 21 | განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი | 18 | 18 | 0 | 99% |
| 22 | სსიპ აწარმოე საქართველოში | 15 | 15 | 0 | 99% |
| 23 | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 12 | 12 | 0 | 99% |
| 24 | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 10 | 10 | 0 | 99% |
| 25 | რაჭა-ლეჩხუმის გუბერნატორის ადმინისტრაცია | 10 | 10 | 0 | 99% |
| 26 | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 28 | 27 | 26 | 98,1% |

## ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები

2011 წლიდან IDFI ტრადიციულად ასახელებს მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილ ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებას. IDFI, ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულების გამოვლენისას, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე მიღებული პასუხების სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად, ითვალისწინებს მთელ რიგ კომპლექსურ ფაქტორებს. მათ შორის, საჯარო დაწესებულების საქმიანობის და მის მიერ დაფარული ინფორმაციის მნიშვნელობას, სამართალწარმოების პრაქტიკას, ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის ხარისხს და სხვა.

2020 წელს IDFI-ს მიერ ყველაზე დახურულ უწყებად შეფასდა **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და მთლიანად იუსტიციის სამინისტროს სისტემა**

**ყველაზე დახურული დაწესებულებები 2020**

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

იუსტიციის სამინისტროს სისტემა

2020 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ყველაზე დახურულ უწყებად შეფასება, ეფუძნება შემდეგ ძირითად გარემოებებს:

- **მთავრობის ადმინისტრაციისთვის გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხების სტატისტიკა**

  2020 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას სულ გაეგზავნა 52 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, საიდანაც 31 უპასუხოდ იქნა დატოვებული, შედეგად მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა მხოლოდ 34% შეადგინა. მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუარესდა 2016 წლის შემდეგ.

## მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები




### მთავრობის ადმინისტრაციის მიერ დაფარული ინფორმაცია

2016 წლის შემდეგ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია მნიშვნელოვნად ზღუდავს ადმინისტრაციის ფინანსების განკარგვასთან და მის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რომელიც გათვალისწინებულია IDFI-ს სტანდარტული შინაარსის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებით. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთავრობის ადმინისტრაცია 2014 წლის შემდეგ, ვებ-გვერდზე აღარ აქვეყნებს, მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ პროაქტიულად სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელ ფინანსურ ინფორმაციას.

2020 წელს განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო, პანდემიის დაწყების შემდეგ საქართველოს მთავრობის განკარგულებების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა. კერძოდ, 2020 წლის 19 მარტის შემდეგ, საქართველოს მთავრობის ვებ-გვერდზე  განკარგულებების გამოქვეყნება შეწყდა (საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზეც ხელმისაწვდომია 2020 წელს საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული განკარგულებების მცირე რაოდენობა), ხოლო IDFI-ს მოთხოვნა, აღნიშნული განკარგულებების მოწოდების შესახებ, უპასუხოდ იქნა დატოვებული. აღნიშნული მოთხოვნის უპასუხოდ დატოვების შემდეგ, IDFI-მ მიმართა შესაბამის სამართლებრივ მექანიზმებს.

### ▶ მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა

2020 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, წარმოადგენდა პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში მთავარ მაკოორდინირებელ ორგანოს და შესაბამისად მოქალაქეთა ინფორმირებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. ამასთან, 2019 წლიდან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ფუნქციად განისაზღვრა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) საქართველოს წევრობის კოორდინირება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. აღნიშნული გარემოებები, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას ანიჭებდა ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას.

2020 წელს, ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებებს შორის, წინა წლების მსგავსად კვლავ გამორჩეული იყო მთლიანად იუსტიციის სამინიტროს სისტემა. **იუსტიციის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალ უწყებებს სულ გაეგზავნათ 281 მოთხოვნა, საიდანაც 269 მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული.** იუსტიციის სამინიტროს სისტემაში შემავალი უწყებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები 0%-დან 12%-მდე მერყეობს. მათ შორის, სამინისტროს დაქვემდებარებულმა 8 სსიპ-მა IDFI-ის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა და შესაბამისად, მათმა შეფასებამ 0%-შეადგინა. იუსტიციის სამინისტრომ 22 მოთხოვნიდან 20 უპასუხოდ დატოვა, ხოლო დანარჩენ ორ მოთხოვნაზე პასუხი IDFI-ს მიეწოდა წერილების ჩაბარებიდან 194 და 90 დღის შემდეგ. შედეგად, სამინისტროს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა მხოლოდ 5.22% შეადგინა.

იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი გაუარესება თვალშისაცემია 2014 წლიდან, როდესაც წინა წლის 95.6%-იანმა მაჩვენებელმა ყოველწლიურად იწყო კლება და 2014 წელს 48.4%-ს, 2015 წელს - 3.9%-ს, ხოლო 2016 - 0%-ს გაუტოლდა. 2017 წელს გარკვეული პროგრესი შეინიშნებოდა და სამინისტროს სისტემის ერთიანი მაჩვენებელი 46.28%-ს გაუტოლდა (ამ წელს უშუალოდ იუსტიციის სამინისტროს მაჩვენებელი 74.9%-მდე გაიზარდა), თუმცა 2018 წელს საშუალო მაჩვენებელი - 5.36%-მდე შემცირდა, 2019 წელს - 7,94% მდე, ხოლო 2020 წელს - 2,17% .

**2014 წლის შემდეგ იუსტიციის სამინიტროს სისტემაში შემავალ უწყებებში სულ გაიგზავნა 2,209 მოთხოვნა, საიდანაც 1,778 მოთხოვნა (80%) უპასუხოდ იქნა დატოვებული. ამ მონაცემების გათვალისწინებით, იუსტიციის სამინისტრო და მისი დაქვემდებარებული უწყებები განსაკუთრებულ უარყოფით როლს თამაშობენ საქართველოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთო მაჩვენებელში.**

ბოლო წლებში, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხზე გავლენა ვერ მოახდინა ვერც IDFI-ის მიერ მათ წინააღმდეგ წარმოებულმა სასამართლო დავებმა, რომლებიც მთელ რიგ შემთხვევებში პრეცედენტული მნიშვნელობის იყო.

## იუსტიციის სამინისტროს სისტემა

| | საჯარო დაწესებულება | მოთხოვნების რაოდენობა | უპასუხო | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | იუსტიციის სამინისტრო* | 22 | 20 | 5,45% |
| 2 | ნოტარიუსთა პალატა | 23 | 23 | 0% |
| 3 | დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო | 20 | 20 | 0% |
| 4 | იუსტიციის სასწავლო ცენტრი | 20 | 20 | 0% |
| 5 | საქართველოს ეროვნული არქივი | 20 | 20 | 0% |
| 6 | აღსრულების ეროვნული ბიურო | 20 | 20 | 0% |
| 7 | საკანონმდებლო მაცნე | 20 | 20 | 0% |
| 8 | მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი | 20 | 20 | 0% |
| 9 | სპეციალური პენიტენციური სამსახური | 20 | 20 | 0% |
| 10 | სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო* | 28 | 27 | 2,14% |
| 11 | იუსტიციის სახლი* | 21 | 20 | 2,86% |
| 12 | საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო* | 23 | 21 | 5,22% |
| 13 | ციფრული მმართველობის სააგენტო* | 24 | 18 | 12,5% |

** გაჩკვეული ინფორმაცია მოწოდებულია ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ ან შეტყობინების გაჩეშე ეთი თვის დაგვიანებით*

### *იუსტიციის სამინისტროს სისტემის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებლები*



2019 წელს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების გარდა, კიდევ 13 დაწესებულება აღმოჩნდა ისეთი, რომელმაც სრულად უგულებელყო კანონით დაკისრებული ვალდებულება და უპასუხოდ დატოვა IDFI-ის ყველა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა. მათ შორის ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სახელმწიფო ხაზინა, რომელიც 2019 წელსაც IDFI-ს მიერ იუსტიციის სამინისტროს სისტემასთან ერთად დასახელდა ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებად. დანარჩენ უწყებებს შორის არის, შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური, მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და 12 ადგილობრივი თვითმმართველობის მერია და საკრებულო.

**2020 წლის ყველაზე არა-ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები**

| | საჯარო დაწესებულება | მოთხოვნა | უპასუხო | შედეგი |
|---|---|---|---|---|
| 1 | სახელმწიფო ხაზინა | 20 | 20 | 0% |
| 2 | შსს - ჯანმრთელობის დაცვის სამსახური | 20 | 20 | 0% |
| 3 | სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო | 20 | 20 | 0% |
| 4 | საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია | 19 | 19 | 0% |
| 5 | ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია | 24 | 24 | 0% |
| 6 | ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია | 24 | 24 | 0% |
| 7 | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია | 24 | 24 | 0% |
| 8 | ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია | 24 | 24 | 0% |
| 9 | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია | 24 | 24 | 0% |
| 10 | ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია | 24 | 24 | 0% |
| 11 | შუახევის  მუნიციპალიტეტის საკრებულო | 19 | 19 | 0% |
| 12 | ბოლნისის  მუნიციპალიტეტის საკრებულო | 19 | 19 | 0% |
| 13 | ადიგენის  მუნიციპალიტეტის საკრებულო | 19 | 19 | 0% |

# საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით

- ცენტრალური საჯარო დაწესებულებები
- საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები
- აჭარის ა/რ-ის მთავრობა, სამინისტროები და უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია
- ადგილობრივი თვითმმართველობების მერიები და საკრებულოები
- სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციები

## ცენტრალური საჯარო დაწესებულებები

2020 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგების თანახმად საქართველოს ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის (პარლამენტის აპარატი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მთავრობის ადმინისტრაცია და მოქმედი სამინისტროები) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 98,11%, მიიღო საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. ასევე, მაღალი მაჩვენებელი აჩვენა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 92,33% და საქართველოს პარლამენტის აპარატმა - 92,11%.

ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა **მთავრობის ადმინისტრაციის (34,04%,), ფინანსთა სამინისტროს (12,91%) და იუსტიციის სამინისტროს (5,45 %) შემთხვევებში.**

2020 წელს, საქართველოს 14 ცენტრალური საჯარო დაწესებულებებიდან 10-მა, წინა წელთან შედარებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი გააუარესა. მათ შორის, გამორჩეულია საქართველოს ფინანსთა სამინიტრო, რომელმაც, 2019 წლის 58.6%-იანი მაჩვენებელი 45.7%-ით გააუარესა  და  მხოლოდ 12.9% შეადგინა. ფინანსთა სამინიტრომ 2020 წელს უპასუხოდ დატოვა, IDFI-ს სტანდარტული შინაარსის ყველა მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებული იყო სამინისტროს მიერ გაწეულ ადმინისტრაციულ ხარჯებთან, საკადრო პოლიტიკასთან და სხვა. განსაკუთრებით პრობლემურად შესაძლებელია შეფასდეს, ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის გაცემის შეზღუდვა, მაშინ როდესაც სამინისტრო თავად უნდა წარმოადგენდეს საჯარო სექტორში ფინანსური გამჭვირვალობის გარანტს, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის ფონზე.

## ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი

| | საჯარო დაწესებულება | მოთხოვნების რაოდენობა | სრულყოფილი | არასრულყოფილი | უარი | უპასუხო | 10 დღიანი ვადის დაცვა | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 28 | 27 | 1 | 0 | 0 | 26 | 98,14% |
| 2 | საგარეო საქმეთა სამინისტრო | 15 | 13 | 2 | 0 | 0 | 0 | 92,33% |
| 3 | პარლამენტის აპარატი | 19 | 17 | 1 | 1 | 0 | 19 | 92,11% |
| 4 | რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | 19 | 15 | 4 | 0 | 0 | 4 | 88,68% |
| 5 | შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 14 | 8 | 6 | 0 | 0 | 14 | 78,57% |
| 6 | ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო* | 33 | 22 | 8 | 0 | 3 | 9 | 74,03% |
| 7 | განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | 27 | 15 | 1 | 0 | 11 | 16 | 57,41% |
| 8 | პრეზიდენტის ადმინისტრაცია* | 18 | 16 | 1 | 1 | 0 | 2 | 57,22% |
| 9 | თავდაცვის სამინისტრო | 24 | 10 | 6 | 0 | 8 | 12 | 53,50% |
| 10 | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო* | 25 | 9 | 7 | 2 | 7 | 2 | 49,36% |
| 11 | შინაგან საქმეთა სამინისტრო* | 34 | 13 | 13 | 1 | 7 | 1 | 45,24% |
| 12 | მთავრობის ადმინისტრაცია* | 52 | 16 | 5 | 0 | 31 | 19 | 34,04% |
| 13 | ფინანსთა სამინისტრო | 23 | 3 | 0 | 0 | 20 | 0 | 12,91% |
| 14 | იუსტიციის სამინისტრო* | 22 | 2 | 0 | 0 | 20 | 0 | 5,45% |

** გაჩკვეუღი ინფოჩმაცია მოწოდებუღია ადმინისტჩაციუღი საჩივჩის შემდგომ ან შეტყობინების გაჩეშე ეჩთი თვის დაგვიანებით*

ფინანსთა სამინიტროს გარდა, ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი ყველაზე მეტად გააუარესეს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ (-35,84%), შინაგან საქმეთა სამინისტრომ (-30,26%), პრეზიდენტის ადმინისტრაციამ (-26,18%) და თავდაცვის სამინისტრომ (-26,2%). ამ სამინისტროების მაჩვენებლის გაუმჯობესებას უპასუხოდ დატოვებულ მოთხოვნებთან ერთად, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ინფორმაციის გაცემის ვადებთან დაკავშირებით არსებულმა პრობლემებმა. მაგალითად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ IDFI-ს მოთხოვნების ნაწილზე კანონმდებლობით გათვალისწინებული

10 დღის ნაცვლად, 100 დღეზე მეტი მოანდომა, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ 80-დღემდე. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში კონკრეტულ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებები IDFI-ს მოაწოდა თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელის  წარდგენის შემდგომ. პასუხის გაცემაზე დადგენილი კოეფიციენტების გათვალისწინებით (1 თვის დაგვიანებით ან ადმინისტრაციულის საჩივრის წარდგენის შემდეგ  ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში, სრულყოფილ პასუხზე გათვალისწინებულია კოეფიციენტი - 0,6, ხოლო არასრულყოფილ პასუხზე-0,3), მსგავსმა ფაქტებმა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია მათ საბოლოო მაჩვენებელზე.

2020 წელს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი, უმნიშვნელოდ გააუმჯობესა 4-მა ცენტრალურმა საჯარო დაწესებულებამ. მათ შორის, გამორჩეულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომელმაც წინა წელთან შედარებით 9%-ით მაღალი შეფასება მიიღო და მისმა მაჩვენებელმა 89,47% შეადგინა.

### *ცენტრალური საჯარო დაწესებულებები, რომლებმაც ყველაზე მეტად გააუარესეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა*



## ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ტენდენციები

| | საჯარო დაწესებულება | 2020 | ცვლილება | 2019 | ცვლილება | 2018 | ცვლილება | 2017 | ცვლილება | 2016 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 98,14% | 3,54% | 94,6% | -5,20% | 99,8% | +14,6% | 85,2% | -2,3% | 87,5% |
| 2 | საგარეო საქმეთა სამინისტრო | 92,33% | -6,67% | 99% | +1,57% | 97,43% | -1,57% | 99% | +5,4% | 93,6% |
| 3 | საქართველოს პარლამენტის აპარატი | 92,11% | -6,19% | 98,3% | +15,6% | 82.69% | -11,31% | 94% | -6% | 100% |
| 4 | რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | 88,68% | 8,28% | 80,4% | -12,2% | 92.59% | 9,29 % | 83,3% | -16,7% | 100% |
| 5 | შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 78,57% | -13,13% | 91,7% | -5,39% | 97.06% | -0,64% | 97,7% | +5,5% | 92,2% |
| 6 | ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 74,03% | -14,27% | 88,3% | -1,07% | 89,37% | -7,73% | 97,1% | +2,7% | 94,4% |
| 7 | განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო | 57,41% | -13,29% | 70,7% | -18% | 88.64% | -6,56% | 95,2% | +3,3% | 91,9% |
| 8 | პრეზიდენტის ადმინისტრაცია | 57,22% | -26,18% | 83,4% | +12,9% | 70.40% | -28,8% | 99,2% | +3,3% | 95,9% |
| 9 | თავდაცვის სამინისტრო | 53,50% | -26,20% | 79,7% | +10% | 69.63% | -20,67% | 90,3% | +11,4% | 78,9% |
| 10 | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 49,36% | -35,84% | 85,2% | +29,9% | 55.24% | +36,4% | 18,8% | 35,7% | 54,5% |
| 11 | შინაგან საქმეთა სამინისტრო | 45,24% | -30,26% | 75,5% | +3,21% | 72.24% | -6,96% | 79,2% | +46,2% | 33% |
| 12 | მთავრობის ადმინისტრაცია | 34,04% | +6,14% | 27,9% | -23,2% | 51.10% | +21.9% | 29,2% | +14,5 | 14,7% |
| 13 | ფინანსთა სამინისტრო | 12,91% | -45,69% | 58,6% | +30,6% | 28,00% | +15,9% | 12,1% | -69,8% | 81,9% |
| 14 | იუსტიციის სამინისტრო | 5,45% | 0,85% | 4,6% | +0,7% | 3.85% | -71,05% | 74,9% | +74,9% | 0 % |

## საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები

2020 წელს განხორციელებული კვლევის თანახმად, აღნიშნული ტიპის საჯარო დაწესებულებებს შორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი 9 უწყებამ აჩვენა. აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიაში თავმოყრილია როგორც სამინისტროებს დაქვემდებარებული, ასევე დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, მარეგულირებელი კომისიები და სხვა (სულ 106 საჯარო დაწესებულება).

106 საჯარო დაწესებულებიდან, **12-მა უწყებამ** IDFI-ის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა. მათ შორის 8 უწყება დაქვემდებარებულია იუსტიციის სამინისტროს, 1-ფინანსთა სამინისტროს, 1- შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო 1 - ჯანდაცვის სამინისტროს. ამ უწყებებს შორის მოხვდა ასევე, საქართველო მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.

**სსიპ, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულების რეიტინგის საუკეთესო მაჩვენებლები**

| | საჯარო დაწესებულება | მოთხოვნების რაოდენობა | სრულყოფილი | არასრულყოფილი | უარი | უპასუხო | 10 დღიანი ვადის დაცვა | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური | 33 | 33 | 0 | 0 | 0 | 33 | 100% |
| 2 | სახალხო დამცველის აპარატი | 17 | 17 | 0 | 0 | 0 | 17 | 100% |
| 3 | სტატისტიკის ეროვნული სამსახური | 16 | 16 | 0 | 0 | 0 | 16 | 100% |
| 4 | საავტომობილო გზების დეპარტამენტი | 15 | 15 | 0 | 0 | 0 | 15 | 100% |
| 5 | კონკურენციის სააგენტო | 14 | 14 | 0 | 0 | 0 | 14 | 100% |
| 6 | გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი | 14 | 14 | 0 | 0 | 0 | 14 | 100% |
| 7 | საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო | 13 | 13 | 0 | 0 | 0 | 13 | 100% |
| 8 | საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი | 13 | 13 | 0 | 0 | 0 | 13 | 100% |
| 9 | გარემოს ეროვნული სააგენტო | 19 | 19 | 0 | 0 | 0 | 0 | 99% |
| 10 | განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი | 18 | 18 | 0 | 0 | 0 | 0 | 99% |

## ყველაზე არა ანგარიშვალდებული სსიპ, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები

| | საჯარო დაწესებულება | მოთხოვნების რაოდენობა | სრულყოფილი | არასრულყოფილი | უარი | უპასუხო | 10 დღიანი ვადის დაცვა | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნოტარიუსთა პალატა | 23 | 0 | 0 | 0 | 23 | 0 | 0% |
| 2 | იუსტიციის სასწავლო ცენტრი | 20 | 0 | 0 | 0 | 20 | 0 | 0% |
| 3 | საქართველოს ეროვნული არქივი | 20 | 0 | 0 | 0 | 20 | 0 | 0% |
| 4 | აღსრულების ეროვნული ბიურო | 20 | 0 | 0 | 0 | 20 | 0 | 0% |
| 5 | საკანონმდებლო მაცნე | 20 | 0 | 0 | 0 | 20 | 0 | 0% |
| 6 | მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი | 20 | 0 | 0 | 0 | 20 | 0 | 0% |
| 7 | სპეციალური პენიტენციური სამსახური | 20 | 0 | 0 | 0 | 20 | 0 | 0% |
| 8 | დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო | 20 | 0 | 0 | 0 | 20 | 0 | 0% |
| 9 | შსს - ჯანმრთელობის დაცვის სამსახური | 20 | 0 | 0 | 0 | 20 | 0 | 0% |
| 10 | სახელმწიფო ხაზინა | 20 | 0 | 0 | 0 | 20 | 0 | 0% |
| 11 | სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო | 20 | 0 | 0 | 0 | 20 | 0 | 0% |
| 12 | საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია | 20 | 0 | 0 | 0 | 20 | 0 | 0% |

## აჭარის ა/რ-ის მთავრობა, სამინისტროები და უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  მთავრობა და სამინისტროები  წლების განმავლობაში მაღალი ანგარიშვალდებულებით  გამოირჩეოდნენ  და  შეუფერხებლად  გასცემდნენ  საჯარო  ინფორმაციას. 2020 წლის მონაცემებით მათი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის  მაჩვენებლები, 84%-დან 100%-მდე მერყეობს. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  უმაღლეს საბჭოს.

საჯარო დაწესებულების ამ ჯგუფში ასევე გაწევრიანებულია სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია (95,45%) და აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი (64,71%).

**აჭარის ა/რ-ის მთავრობის და სამინისტროების რეიტინგი**

| | საჯარო დაწესებულება | მოთხოვნების რაოდენობა | სრულყოფილი | არასრულყოფილი | უარი | უპასუხო | 10 დღიანი ვადის დაცვა | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 13 | 13 | 0 | 0 | 0 | 13 | 100% |
| 2 | აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო | 13 | 13 | 0 | 0 | 0 | 13 | 100% |
| 3 | აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | 13 | 12 | 1 | 0 | 0 | 13 | 96,15% |
| 4 | სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია | 11 | 10 | 1 | 0 | 0 | 11 | 95,45% |
| 5 | აჭარის ა/რ-ის  ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო | 12 | 11 | 1 | 0 | 0 | 0 | 94,83% |
| 6 | აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატი | 14 | 12 | 2 | 0 | 0 | 11 | 92,86% |
| 7 | აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 14 | 10 | 4 | 0 | 0 | 14 | 84,71% |
| 8 | აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი | 17 | 10 | 2 | 0 | 5 | 12 | 64,71% |

# ადგილობრივი თვითმმართველობების მერიები და საკრებულოები

ადგილობრივი თვითმმართველობებში 2020 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგების თანახმად, 128 საჯარო დაწესებულებიდან (მერია და საკრებულო) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი აქვს 7 მუნიციპალიტეტის საკრებულოს; აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მერიების და საკრებულოების რეიტინგის პირველ ათეულში ვერცერთი მერია ვერ მოხვდა, შესაბამისად არცერთი მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წელს IDFI-ს ყველა მოთხოვნაზე სრულყოფილი პასუხი არ გაუცია.

მონიტორინგის ფარგლებში, 6 მუნიციპალიტეტის მერიამ და 3 მუნიციპალიტეტის საკრებულომ უპასუხოდ დატოვა IDFI-ს ყველა მოთხოვნა.

2020 წელს ქალაქ თბილისის საკრებულოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით მცირედით გაუმჯობესდა და 91,67% შეადგინა, ხოლო თბილისის მერიის შემთხვევაში 7,1%-ით გაუარესდა და 70,45% შეადგინა.

**მერიების და საკრებულოების რეიტინგის პირველი ათეული**

| | საჯარო დაწესებულება | მოთხოვნების რაოდენობა | სრულყოფილი | არასრულყოფილი | უარი | უპასუხო | 10 დღიანი ვადის დაცვა | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 14 | 14 | 0 | 0 | 0 | 14 | 100% |
| 2 | ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 12 | 12 | 0 | 0 | 0 | 12 | 100% |
| 3 | ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 10 | 10 | 0 | 0 | 0 | 10 | 100% |
| 4 | ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 10 | 10 | 0 | 0 | 0 | 10 | 100% |
| 5 | ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 10 | 10 | 0 | 0 | 0 | 10 | 100% |
| 6 | თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 10 | 10 | 0 | 0 | 0 | 10 | 100% |
| 7 | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 10 | 10 | 0 | 0 | 0 | 10 | 100% |
| 8 | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 12 | 12 | 0 | 0 | 0 | 0 | 99% |
| 9 | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 10 | 10 | 0 | 0 | 0 | 0 | 99% |

## მერიების და საკრებულოების რეიტინგის ბოლო ათეული

| | საჯარო დაწესებულება | მოთხოვნების რაოდენობა | სრულყოფილი | არასრულყოფილი | უარი | უპასუხო | 10 დღიანი ვადის დაცვა | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია | 24 | 0 | 0 | 0 | 24 | 0 | 0% |
| 2 | ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია | 24 | 0 | 0 | 0 | 24 | 0 | 0% |
| 3 | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია | 24 | 0 | 0 | 0 | 24 | 0 | 0% |
| 4 | ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია | 24 | 0 | 0 | 0 | 24 | 0 | 0% |
| 5 | სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია | 24 | 0 | 0 | 0 | 24 | 0 | 0% |
| 6 | ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია | 24 | 0 | 0 | 0 | 24 | 0 | 0% |
| 7 | შუახევის  მუნიციპალიტეტის საკრებულო | 19 | 0 | 0 | 0 | 19 | 0 | 0% |
| 8 | ბოლნისის  მუნიციპალიტეტის საკრებულო | 19 | 0 | 0 | 0 | 19 | 0 | 0% |
| 9 | ადიგენის  მუნიციპალიტეტის საკრებულო | 19 | 0 | 0 | 0 | 19 | 0 | 0% |

### *ქაღაქ თბილისის მეჰიის და საკჰებუღოს ინფოჰმაციის ხეღმისაწვდომობის მაჩვენებღები*



## სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციები

2020 წელს სახელმწიფო გუბერნატორების ადმინისტრაციებიდან, IDFI-ს ყველა მოთხოვნას სრულ-ყოფილად და 10 დღიანი ვადის დაცვით უპასუხა სამეგრელო-ზემო სვანეთის და ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციებმა.

სხვა გუბერნატორების ადმინისტრაციებმა, უმრავლეს შემთხვევაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწ-ვდომობის საკმაოდ მაღალი ხარისხი აჩვენეს და მათი პროცენტული მაჩვენებელი 80%-იან ნიშნულს აღემატებოდა. იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაცია, რომლის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა 37,5% შეადგინა.

**სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციების რეიტინგი**

| | საჯარო დაწესებულება | მოთხოვნების რაოდენობა | სრულყოფილი | არასრულყოფილი | უარი | უპასუხო | 10 დღიანი ვადის დაცვა | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია | 12 | 12 | 0 | 0 | 0 | 13 | 100% |
| 2 | ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაცია | 12 | 12 | 0 | 0 | 0 | 12 | 100% |
| 3 | რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია | 10 | 10 | 0 | 0 | 0 | 0 | 99% |
| 4 | გურიის გუბერნატორის ადმინისტრაცია | 11 | 10 | 1 | 0 | 0 | 11 | 95,45% |
| 5 | სამცხე ჯავახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია | 12 | 10 | 2 | 0 | 0 | 0 | 90,67% |
| 6 | იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია | 13 | 10 | 3 | 0 | 0 | 13 | 88,46% |
| 7 | მცხეთა-მთიანეთის  გუბერნატორის ადმინისტრაცია | 14 | 12 | 1 | 0 | 1 | 0 | 88,36% |
| 8 | კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია | 12 | 8 | 3 | 0 | 1 | 0 | 78,25% |
| 9 | შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაცია* | 12 | 6 | 3 | 0 | 3 | 0 | 37,50% |

** შენიშვნა: შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ ინფორმაცია მოწოდებულია 6 თვის დაგვიანებით.*

# სტრატეგიული სამართალწარმოების საქმეები

- IDFI "მედიააკადემიის" წინააღმდეგ
- საქართველოს ეროვნული არქივი
- IDFI დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის წინააღმდეგ
- სახალხო დამცველის რეკომენდაცია საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ

2020 წელს IDFI-იმ საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი საქმეები აწარმოა. 3 სტრატეგიული სამართალწარმოების საქმიდან 1 საქმეზე IDFI-ის სასარგებლოდ გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლომ, მე-2 საქმეზე კი თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო, ხოლო 1 შემთხვევაში საქმე ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით დასრულდა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ და საერთო სასამართლოებმა გაიზიარეს IDFI-ის ხედვა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან მიმართებით.

IDFI-იმ ორი საკითხის შესწავლის მიზნით სახალხო დამცველის აპარატს მიმართა. სახალხო დამცველმა ერთ შემთხვევაში გაიზიარა IDFI-ის პოზიცია და გასცა რეკომენდაცია საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, ხოლო მეორე განცხადება ამ ეტაპზეც განხილვის პროცესშია.

ქვემოთ დეტალურად არის წარმოდგენილი 3 სტრატეგიული სამართალწარმოებისა და სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესახებ ინფორმაცია.

## IDFI "მედიააკადემიის" წინააღმდეგ

2018 წლის 2 აგვისტოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ა(ა)იპ „მედიააკადემია" საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების - საზოგადოებაში მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით დააფუძნა. 2020 წლის 24 იანვარს IDFI-იმ „მედიააკადემიას" წერილით მიმართა და მოითხოვა მისი საქმიანობის შესახებ სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია. „მედიააკადემიამ" IDFI-ის საჯარო ინფორმაცია არ მიაწოდა იმ საფუძვლით, რომ ის არ წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას არც ორგანიზაციულ-სამართლებრივი და არც ფუნქციონალური გაგებით და ამ გზით შეეცადა კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისათვის თავის არიდებას.

2020 წლის 28 თებერვალს IDFI-იმ „მედიააკადემიის" უარი კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გასაჩივრა. მიუხედავად იმისა, რომ კომისია „მედიააკადემიის" ზედამხედველი და დამფუძნებელი ორგანოა, მან უარი განაცხადა ადმინისტრაციული საჩივრის საფუძვლიანად განხილვაზე იმ მოტივით, რომ ის არ წარმოადგენდა „მედიააკადემიის" ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

2020 წლის 7 აპრილს IDFI-იმ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომლითაც მოითხოვა ა(ა)იპ „მედიააკადემის“ ადმინისტრაციულ ორგანოდ ცნობა და 24 იანვრის წერილით გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2021 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის” სარჩელი ა(ა)იპ „მედიააკადემიის” წინააღმდეგ სრულად დააკმაყოფილა, ეს უკანასკნელი ფუნქციონალური გაგებით ადმინისტრაციულ ორგანოდ ცნო და საჯარო ინფორმაციის გაცემა დაავალა.

2021 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებაში სასამართლომ ხაზი გაუსვა ინფორმაციის თავისუფლების მნიშვნელობას და განმარტა, რომ კანონი ინფორმაციის გაცემის ვალდებულებას აკისრებს არა მხოლოდ სახელმწიფო უწყებებს, არამედ საჯარო დაწესებულებებს, რომელთა ცნებაც უფრო ფართოა და მოიცავს ადმინისტრაციულ ორგანოსაც.

სასამართლომ გაიზიარა IDFI-ს პოზიცია და განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ლეგალური დეფინიცია (სზაკ-ის მეორე მუხლის პირველი ნაწილის “ა” ქვეპუნქტი) ორი ნაწილისგან შედგება, კერძოდ, პირველი ნაწილი შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ცნებას, რომელიც მოიცავს ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და დაწესებულებებს, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონალური გაგება, რომელიც ცნების მეორე ნაწილშია მოცემული აერთიანებს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, მათ შორის კერძო სამართლის იურიდულ პირებს, რომლებიც არ არიან სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემის სუბიექტები, მაგრამ კანონის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. სასამართლოს განმარტებით, ფუნქციონალური გაგება გულისხმობს იმას, რომ “ნებისმიერი სხვა პირი” საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს დელეგირების, ანუ სახელმწიფო მხრიდან მის მიმართ უფლებამოსილების გადაცემის საფუძველზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ „მედიააკადემია“ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს ფუნქციონალური გაგებით, რამდენადაც ეს უკანასკნელი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე ჩამოყალიბებულია საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად, კერძოდ, საზოგადოებაში მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან „მედიააკადემია“ დელეგირების შედეგად ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას და აღნიშნულ ფარგლებში ფუნქციურად მოქმედებს როგორც ადმინისტრაციული ორგანო, იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია „მედიააკადემიის“ მიერ ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებასთან, ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის მოქმედება და ის ვალდებულია გასცეს IDFI-ს მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებას ქვეყანაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების რეალური უზრუნველყოფისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ აღკვეთა საჯარო დაწესებულების მცდელობა, ხელოვნური დაბრკოლებების შექმნის გზით უარი ეთქვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზებაზე.

სასამართლომ საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების დეფინიცია მოპასუხის მიერ შემოტანილ თვითნებური კრიტერიუმებს არ დააფუძნა, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება ნიშნავს კანონით დადგენილი ფარგლებში და მისი შესრულების მიზნით უფლებამოსილების განხორციელებას და დაადგინა, რომ „მედიააკადემიამ" ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმით საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა დაარღვია.

სასამართლოს გადაწყვეტილება საგულისხმოა საჯარო დაწესებულებების მხრიდან მსგავსი ქმედებების პრევენციის კუთხითაც. მნიშვნელოვანია, მათ არ ჰქონდეთ მოლოდინი, რომ მსგავსი მანიპულაციით, კერძოდ, საჯარო უფლებამოსილების კერძო-სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციებზე დელეგირებით, საქმიანობის გაუმჭვირვალედ წარმართვასა და კანონმდებლობით დაწესებული საჯაროობის მოთხოვნების უგულებელყოფას შეძლებენ.

## საქართველოს ეროვნული არქივი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით სსიპ „საქართველოს ეროვნულ არქივს" (ეროვნული არქივი) კიდევ ერთხელ დაევალა იმ საჯარო ინფორმაციის გაცემა, რომელსაც ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" (IDFI) 2018 წლის 29 ივნისიდან ითხოვს. კერძოდ, IDFI-ის მიზანს წარმოადგენს ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, თუ რამდენ განმცხადებელს ეთქვა უარი ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებთან დაშვებაზე და რა საფუძვლით. თავდაპირველად ინფორმაციის გაცემის ვალდებულება ეროვნულ არქივს თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკისრა. ეროვნულმა არქივმა არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და ის თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა წარუმატებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ პროცესზე, სასამართლომ ადგილზე მსჯელობით მიიღო საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ ეროვნული არქივის სააპელაციო საჩივარი იყო დაუსაბუთებელი, რის გამოც ის არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო დავის მიმდინარეობისას IDFI სასამართლოს ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ ეროვნული არქივის საჩივარი არ აკმაყოფილებდა საქართველოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ სააპელაციო საჩივრის საფუძვლებს. კერძოდ, სააპელაციო საჩივრის იმ ნაწილში სადაც აპელანტის მიერ მითითებული უნდა ყოფილიყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობები აპელანტი არ აყენებდა კითხვის ნიშნის ქვეშ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. ამასთან, ეროვნული არქივი არ განმარტავდა თუ რა ნაწილში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივად დაუსაბუთებელი.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ ინფორმაციის გაცემა იყო შეუძლებელი, რამდენადაც მოთხოვნილი ინფორმაცია არ იყო ეროვნულ არქივში შექმნილი, დამუშავებული ან/და დაცული. ამასთან ის ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ეროვნულ არქივში მცირე რაოდენობით, თუმცა ინახებოდა ადმინისტრაციული აქტები, რომელთა საფუძველზეც განმცხადებლებს წერილობითი სახით ეთქვათ უარი ეროვნულ არქივში დაცულ დოკუმენტებთან დაშვებაში.

სააპელაციო სასამართლომ საკუთარ გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების მნიშვნელობას და განმარტა მისი ფარგლები. ამასთან, სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციითა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ინფორმაციის შეზღუდვის სამართლებრივ საფუძვლებზე და დაადგინა, რომ IDFI-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, თავისი შინაარსით, არ შეიცავდა სახელმწიფო საიდუმლოების, კომერციული და პირის პერსონალური მონაცემების შესახებ რაიმე სახის მონაცემებს. შესაბამისად, მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა საჯარო ხასიათის ინფორმაციას, რომლის გაცემის ვალდებულებაც ეკისრებოდა ეროვნულ არქივს.

საკუთარ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლო მიუთითებს:

„განმცხადებლის (IDFI-ის) მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას, კომერციული ან პირის პერსონალური მონაცემების შესახებ რაიმე სახის მონაცემებს... თავის მხრივ მოპასუხე მხარის (ეროვნული არქივი) აპელირება იმაზე, რომ მასთან დაცული ინფორმაცია მოთხოვნილ შემთხვეებთან დაკავშირებით იმდენად მცირეა, რომ ის ვერ ასახავს ეროვნული არქივის მიერ დაინტერესებული პირებისთვის ყოველდღიურად გაწეული კონსულტაციის/კომუნიკაციის პროცესს, არ გამორიცხავს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას გასცეს ის ინფორმაცია, რაც მას გააჩნია კანონი დადგენილი წესით.“

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივების შესახებ“ საქართველოს კანონზე და ეროვნული არქივის როლის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა საარქივო ფონდებთან მკვლევართა დაშვების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის საჯაროობას.

## IDFI დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის წინააღმდეგ

2020 წლის 15 ივნისს, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ ადმინისტრაციული საჩივარი და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს მოსამართლის მიმართ დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად მიღებული დასაბუთებული დასკვნებისა და მოსაზრებების განზოგადებული სახით მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვით გაცემა დაავალა.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს IDFI-იმ 2020 წლის 4 თებერვალს განცხადებით მიმართა, რომლითაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 756-ე მუხლის საფუძველზე მოსამართლის მიმართ დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად მიღებული დასაბუთებული დასკვნებისა და მოსაზრებების დეპერსონიზირებული სახით გაცემა მოითხოვა. 2020 წლის 14 თებერვლის წერილით IDFI-ის უარი ეთქვა ინფორმაციის გაცემაზე იმ მოტივით, რომ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია და ორგანული კანონი არ ითვალისწინებს საქმის წინასწარი შემოწმებისა და მოკვლევის შედეგად მიღებული

დასაბუთებული დასკვნებისა და მოსაზრებების (შუალედური გადაწყვეტილებების) გასაჯაროებას მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშეც კი.

IDFI-იმ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა დამოუკიდებელ ინსპექტორს და მოითხოვა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის ბათილად ცნობა და მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა იმ საფუძვლით, რომ ინფორმაციის გაცემაზე უარი არღვევდა საჯარო ინფორმაციის მიღების უფლებას. IDFI სრულად იზიარებდა დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობის მნიშვნელობას, სწორედ ამიტომ ინფორმაცია მოთხოვნილ იქნა მოსამართლეთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამ-ჟღავნების გარეშე.

IDFI-ის შეფასებით, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არასწორად განმარტავდა კანონს, როცა უთითებდა, რომ შუალედური გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას კანონი არ ითვალისწინებს და ამდენად, ისინი არ უნდა გაიცეს. კანონით ზოგიერთი გადაწყვეტილების/ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულების დადგენა თავისთავად არ გულისხმობს, რომ საჯარო დაწესებულებაში დაცული სხვა საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 15 ივნისის N2 ბრძანებით IDFI-ის ადმინისტრაციული საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ბრძანების თანახმად, „სასამართლოსა და კონკრეტული მოსამართლის ინტერესების, დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობის გათვა-ლისწინებით მხოლოდ ისეთი დასკვნების გაცემაა შესაძლებელი, რომელიც დისციპლინური სამართალწარმოების საწყის ეტაპზე არ დაარღვევს კანონის ლეგიტიმურ მიზანს დაიცვას მოსა-მართლეთა ინტერესები... დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებებისა და საქმეთა კონფიდენციალურობის, ისევე როგორც მოსამართლეთა და ამავე დროს საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების განზოგადებული, ზოგადი ფორმულირების სახით მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე გაცემა ისე, რომ არ იქ-ნეს დარღვეული კანონის მოთხოვნა დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობის თაობაზე“.

2020 წლის 25 ივნისის წერილით დამოუკიდებელმა ინსპექტორმა IDFI-ის დასკვნები 5 საჩივართან დაკავშირებით მიაწოდა. მოსამართლეთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამჟღავნების გარეშე ცალკეული დასკვნების გასაჯაროებამ ცხადად დაადასტურა, რომ ამ დოკუმენტების ხელმისაწვდომობა არ ეწინააღმდეგება დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობის პრინციპს და არ არღვევს მოქმედ კანონმდებლობას.

ბოლო წლებში, IDFI მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებდა დამოუკიდებელი ინსპექტორის დას-კვნების გასაჯაროების მნიშვნელობაზე. დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა სასამართლო სისტემის ავტორიტეტისა და საზოგადოებაში სასამართლოს მიმართ ნდობის დაცვის ინტერესს ემსახურება, თუმცა, მეორე მხრივ, შეიცავს პოტენციურ საფრთხეს, მისი არასათანადოდ გამოყენების პირობებში, გადაიქცეს ინდივიდუალურ მოსამართლეებზე ზეწოლის ბერკეტად. სწორედ ამიტომ არსებითად მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის, როგორც დისციპლინური სამართალწარმოების სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლის, საქმიანობის სათანადო გამჭვი-რვალობის უზრუნველყოფა. დასკვნების ხელმისაწვდომობა აუცილებელია იმისთვის, რომ შეფასდეს

ინსპექტორის დამოუკიდებლობის ხარისხი, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის ობიექტურობა და პრაქტიკის თანმიმდევრულობა.

იმის გათვალისწინებით, რომ კონფიდენციალურობის დაცვის მოტივით ინსპექტორის სამსახურიდან დასკვნების მიღება შეუძლებელი იყო, საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილება და ცალკეული დასკვნების ზოგადი ფორმულირების სახით, მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე გასაჯაროება დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის სათანადო გამჭვირვალობისთვის არსებითად მნიშვნელოვანია ინსპექტორის მიერ მომზადებული ყველა დასკვნა ხელმისაწვდომი იყოს.

## სახალხო დამცველის რეკომენდაცია საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ

2020 წლის 8 ივლისს IDFI-მ წერილობით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მოითხოვა 2018-2020 წლებში მინისტრის და მინისტრის მოადგილეების მრჩევლის თანამდებობაზე დასაქმებული პირების ბიოგრაფიული მონაცემები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2020 წლის 16 ივლისს, პერსონალურ მონაცემებსა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლზე მითითებით, IDFI-ის უარი განუცხადა ინფორმაციის მიწოდებაზე.

IDFI-ის პოზიციით, მინისტრის მრჩევლების საქმიანობის მიზნიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, 8 ივლისის განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის მიმართ არსებობდა მაღალი საჯარო ინტერესი. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე, სამინისტროს ჰქონდა მისი გაცემის ვალდებულება. აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით, 2020 წლის 27 ივლისს IDFI-მ განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს.

IDFI-ს განცხადების საფუძველზე, 2021 წლის 11 თებერვალს, სახალხო დამცველმა დაადგინა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტი და სამინისტროს მიმართა რეკომენდაციით გაეცა 8 ივლისის წერილით გათვალისწინებული ინფორმაცია.

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია კანონმდებლისგან მინიჭებული ფართო დისკრეცია - კონკურსის (რომლის მიზანი საუკეთესო კანდიდატის შერჩევა და საჯარო სამსახურში განწესების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა) და სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაწესების გარეშე დანიშნოს პირი საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან რიგ შემთხვევებში მასზე გასცეს დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მაღალი ხელფასი, საჯარო დაწესებულება ვალდებულია საზოგადოებრივი და მაღალი საჯარო ინტერესის სასარგებლოდ, ანუ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად გასცეს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების მრჩევლების ხელშეკრულე-

ბებისა და ბიოგრაფიული მონაცემების შესახებ ინფორმაცია, ვინაიდან საზოგადოებაში სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობას სწორედ მათი საქმიანობის გამჭვირვალობის დონე განსაზღვრავს.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან 2020 წლის 8 ივლისს გამოთხოვილი ინფორმაცია მართალია პერსონალური მონაცემების შემცველია, თუმცა საჯარო ინტერესის მატარებელია და შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნდა მისი გაცემის პოზიტიური ვალდებულება.

იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო ინტერესის საფუძველზე ინფორმაციის გაცემის პრეცედენტი იშვიათია და კონსტიტუციის მე-18 მუხლის მესამე ნაწილისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის ხსენებული ჩანაწერი, რომელიც კონსტიტუციის ცვლილების შემდეგ ამოქმედდა, ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან უგულებელყოფილია, სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია და სამართლებრივი დასაბუთება არსებითი მნიშვნელობის მქონეა არასწორი პრაქტიკის პოზიტიურად შეცვლის თვალსაზრისით.

# საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2010-2020 წლებში

- 2010-2020 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვის პრაქტიკა

2010-2020 წლებში, IDFI-ის მიერ განხორციელებული მონიტორინგი საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 10 წლის დინამიკა, საჯარო დაწესებულებების ჯგუფების მიხედვით. ამასთან, 2020 წლის, წინა წლების მონაცემებთან შედარება საშუალებას გვაძლევს შეფასდეს კორონავირუსის პანდემიის გავლენა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე.

2010-2020 წლებში, IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებებში სულ გაიგზავნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის 64,221 განცხადება, რომელთაგან პასუხი მიღებულია 53,074 მოთხოვნაზე.

IDFI-ის მიერ 11 წლის განმავლობაში წარმოებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად გაგზავნილ მოთხოვნებსა და მიღებულ პასუხებს შორის არსებული პროცენტული თანაფარდობის დინამიკა ხასიათდებოდა ხშირი ცვალებადობით. 2010-2020 წლებში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე **გაცემული პასუხების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (90%) 2013 წელს იყო.** ასევე, მაღალი იყო ეს მაჩვენებელი 2017 წელს 88%, რომელიც 2018 წლის შემდეგ ყოველწლიურად იკლებს და 2020 წელს 80%-მდე შემცირდა. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ, 2020 წელს გაგზავნილ წერილებზე მიღებული პასუხების მაჩვენებელი, 2013 წლის შემდეგ ყველაზე დაბალია.

### *2010-2020 წლებში გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხები*



| წელი | საჯარო დაწესებულება | გაგზავნილი მოთხოვნები | მიღებული პასუხები |
|---|---|---|---|
| 2020 | 285 | 6258 | 5 000 |
| 2019 | 284 | 6 240 | 5 180 |
| 2018 | 282 | 6 413 | 5 454 |
| 2017 | 289 | 7 728 | 6 782 |
| 2016 | 294 | 7 430 | 6 291 |
| 2015 | 307 | 8 297 | 7 122 |
| 2014 | 308 | 7 878 | 6 481 |
| 2013 | 224 | 5 625 | 5 049 |
| 2012 | 229 | 5 072 | 3 449 |
| 2011 | 154 | 2 740 | 2 099 |
| 2010 | 21 | 540 | 238 |

### მიღებული პასუხების პროცენტული შედარება წლების მიხედვით




2010-2020 წლებში საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (79%) და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (12%) 2013 წელს იყო. 2020 წელს, წინა წელთან შედარებით სრულყოფილი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი 6%-ით შემცირდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების მაჩვენებელი კი 4%-ით გაიზარდა. ასევე 2%-ით გაიზარდა არასრულყოფილი პასუხების წილი.

**ქვემოთ დიაგრამებზე მოყვანილ პროცენტულ მონაცემებში ასახული არ არის საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ის პასუხები, რომელთა თანახმადაც უწყებები არ ფლობდნენ მოთხოვნილ ინფორმაციას, ან არ ქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება.**

### საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხები



2020 წელს საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხების გაუარესებული მაჩვენებელი, ერთის მხრივ შესაძლებელია შეფასდეს როგორც პანდემიის შედეგად საჯარო დაწესებულებებში შექმნილი არაორდინალური სიტუაციის გავლენა, ხოლო მეორეს მხრივ, 2017 წლის შემდეგ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაურესების ტენდენციის გაგრძელება.

2010-2020 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით განსხვავებული ტენდენციებია საჯარო დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საჯარო დაწესებულებათა ძირითად ჯგუფებში, 2020 წელს წინა წელთან შედარებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა გაუარესებულია. **მაგალითად, სამინისტროებიდან მიღებული სრულყოფილი პასუხები 15%-ით შემცირდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 11%-ით გაიზარდა, სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებების სრულყოფილი პასუხები 7%-ით შემცირდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 8%-ით გაიზარდა.**

2010-2020 წლებში განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში სამინისტროებიდან მიღებული სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი წილი (88%) 2013 წელს იყო. მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი 74%-დან 83%-მდე მერყეობდა. 2013 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი (59%)-იანი მაჩვენებელი სწორედ 2020 წელზე მოდის. 2013 წლამდე, სრულყოფილად გაცემული პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მხოლოდ 46%-ს შეადგენდა.



2011-2020 წლებში სამინისტროების მსგავსად, მათ დაქვემდებარებულ უწყებებში (სსიპ-ები და საქვეუწყებო დაწესებულებები) სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი (86%) და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (5%) 2013 წელს იყო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ **2020 წელს სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებებიდან მიღებული სრულყოფილი პასუხების 47%-იანი და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების 41%-იანი მაჩვენებელი, ბოლო 11 წლის მანძილზე ყველაზე დაბალი შედეგია.**

### *სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი უწყებებიდან მიღებული პასუხები*




2011-2020 წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან  სრულყოფილად მიღებული პასუხების ყველაზე მაღალი (75%) და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2018 წელს დაფიქსირდა - (13%). 2020 წელს ადგილობრივი თვითმმართველობების სრულყოფილად გაცემული პასუხების მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით 3%-ით შემცირდა, ხოლო  უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 1%-ით გაიზარდა.

2018 წელს, ადგილობრივ თვითმმართველობათა მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მიღწევაში, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინსტიტუტის მიერ დამატებითი სამართლებრივი მექანიზმების აქტიურმა გამოყენებამ. კერძოდ, 2018 წელს ყველა იმ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, რომელიც წლების განმავლობაში გამოირჩეოდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დაბალი ხარისხით გაეგზავნა ადმინისტრაციული საჩივარი, რამაც უმეტესწილად დადებითი შედეგი გამოიღო. 2019-2020 წლებში IDFI-ს მსგავსი მექანიზმებისათვის აქტიურად აღარ მიუმართავს, ასევე, 2020 წელს IDFI-სთვის წარმოდგენილი განმარტებების მიხედვით, ცალკეული მუნიციპალური ორგანოებში თანამშრომელთა დისტანციურ სამუშაო პირობებში გადაყვანამ მნიშვნელოვანი შეფერხებები გამოიწვია დაწესებულებების ეფექტურ საქმიანობაში.

### *თვითმმართველი ერთეულებიდან მიღებული პასუხები*



## 2010-2020 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვის პრაქტიკა

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია განცხადების მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ გასცეს საჯარო ინფორმაცია. ამავე დროს, საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის შეიძლება გამოყენებული იქნეს 10 დღიანი ვადა, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია არის დიდი მოცულობის, საჭიროებს შეგროვებას და დამუშავებას ან  აუცილებელია სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან კონსულტაცია. 10 დღიანი ვადის გამოყენების შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუტის მიერ 2010-2020  წლებში ხშირ შემთხვევაში მოთხოვნილი იყო მოცულობითი ინფორმაცია, სტატისტიკის წარმოების მიზნებისთვის ვადის დაცვად მივიჩნევდით ინფორმაციის გაცემას ათი სამუშაო დღის განმავლობაში, მიუხედავად იმისა გვატყობინებდა თუ არა საჯარო დაწესებულება 10 დღიანი ვადის გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

2020 წელს, **წინა წელთან შედარებით საჯარო ინფორმაციის დროულად გაცემის მაჩვენებელი 7%-ით გაუარესდა და მხოლოდ 49 % შეადგინა. აღნიშნული მაჩვნებელი, 2012 წლის შემდეგ პირველი შემთხვევაა როდესაც ვადის დაცვით გაცემულ პასუხებს აჭარბებს 10 დღიანი ვადის დარღვევის შემთხვევები. ამ ტენდენციას, უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, კორონავირუსის პანდემიის პირობებში უწყებებში სამუშაო პროცესის გართულებამ (დისტანციურ სამუშაო პირობებზე გადასვლა, პანდემიასთან ბრძოლაში ჩართულობა და სხვ.).**



# დასკვნა

2020 წელს განხორციელებული IDFI-ის მონიტორინგის შედეგების თანახმად ქვეყანაში საჯარო ინ-ფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი წინა წელთან შედარებით კვლავ  გაუარესდა. ბოლო წლების  უარყოფითი ტენდენციის გაგრძელებას, 2020 წელს მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო, ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიით შექმნილმა კრიზისულმა მდგომარეობამ. კერძოდ, მთელი რიგი უწყებე-ბისათვის, პანდემიის შედეგად  შეცვლილ სამუშაო პირობები (დისტანციური სამუშაო რეჟიმი, პან-დემიასთან ბრძოლაში ჩართულობა და სხვ.)  შემაფერხებელი ფაქტორი აღმოჩნდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სათანადო უზრუნველყოფის პროცესში. შედეგად, 2020 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების, ასევე კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევით გაცემული პასუხების მაჩვენებელი. 2012 წლის შემდეგ პირველად 2020 წელს ვადის დაცვით გაცემულ პასუხებს აჭარბებდა 10 დღიანი ვადის დარღვევის შემთხვევები.

2020 წელს, განსაკუთრებით პრობლემურად უნდა შეფასდეს, ისეთი საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, რომლებსაც განსაკუთრებული როლი აკისრიათ ქვე-ყანაში დემოკრატიული  ღირებულებების დაცვის ხელშეწყობაში, ასევე  პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში გამჭვირვალობის უზრუნველყოფის პროცესში. მაგალითად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია რომელიც პანდემიასთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი მაკოორდინირებელი ორ-განოა, უნდა წარმოადგენდეს მოქალაქეთა ინფორმირების შეუფერხებელ წყაროს. იუსტიციის სამინისტროს სისტემა, რომლის მთავარი ამოცანაა  საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ეროვნული კანონმდებლობის განვითარებაზე ზრუნვა და ქვეყანაში კანონის უზენაესობის განმტკიცება, სამწუხაროდ, თავად იჩენს უპატივცემულობას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მიმართ და უგულებელყოფს დემოკრატიულ სახელმწიფოში საჯარო დაწესებულებზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს. ფინანსთა სამინისტრო და მისი დაქვემდებარებული უწყებები, რომლებიც  უნ-და წარმოადგენდნენ საჯარო სექტორში ფინანსური გამჭვირვალობის გარანტს, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის ფონზე,  თავად  ზღუდავენ  სახელმწიფო ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის გაცემას.

ბოლო წლების პრაქტიკა ნათლად აჩვენებს სახელმწიფო შპს-ების და ა(ა)პების მიერ  ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებულ არასახარბიელო დამოკიდებულებას.  მიუხედავ იმისა, რომ აღნიშნული უწყებები ხშირ შემთხვევაში ასრულებენ საჯარო სამართლებრივ უფლება-მოსილებას, განკარგავენ საჯარო ფინანსებს, IDFI-ს მიერ გაგზავნილ მოთხოვნებს ძირითად შემ-თხვევაში  ან უპასუხოდ ტოვებენ ან განმარტავენ რომ ისინი არ წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოს და მათზე არ ვრცელდება საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება. ამ მხრივ, შესაძ-ლებელია სტრატეგიული მნიშვნელობის აღმოჩნდეს 2020 წელს IDFI-ს მიერ ა(ა)იპ მედია აკადემიასთან წარმოებული სასამართლო დავა, რომლის ფარგლებში აღნიშნულ უწყებას დაევალა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა.

მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, 2020 წელს გაგზავნილ წერილებზე მიღებული პასუხების მაჩვენებლით (80%) კვლავ, შენარჩუნებულია 2014 წლის შემდეგ დამკვიდრებული 80%-იანი კრიტიკული ზღვარი, რაც  უმეტესწილად,  ცალკეული საჯარო დაწესებულებების მაღალი ანგარიშვალდებულებით არის განპირობებული.  კერძოდ, ისეთი, საჯარო დაწესებულებები როგორც სტატისტიკის ეროვნული

სამსახური, სახალხო დამცველის აპარატი, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და სხვა  წლების განმავლობაში (მათ შორის კრიზისული მდგომარეობის დროს) ინარჩუნებენ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო მაჩვენებელს და ჯეროვნად ასრულებენ საჯარო ინფორმაციის გაცემის კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას.  სამწუხაროდ, ცალკეული უწყებების მიერ (მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს სისტემა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, სახელმწიფო ხაზინა და ა.შ.) წლების განმავლობაში დამკვიდრებული დაბალი ანგარიშვალდებულების პრაქტიკა, უარყოფითად აისახება  საქართველოს საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთო მაჩვენებელზე და მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყანაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხის გაუმჯობესების პროცესს.